



ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №65, ტელ.: +995 599 96 12 31,  
ელ. ფოსტა: [tsagerisakrebulo@gmail.com](mailto:tsagerisakrebulo@gmail.com)

## ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

N 50  
02/09/2020

50-06-4-202009021453



### 2020 წლის მორიგ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით ცაგერის მუნიციპალიტეტში სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის ადგილების გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლი მე-2 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 46-ე მუხლის და საქართველოს ორგანული კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. 2020 წლის მორიგ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით ცაგერის მუნიციპალიტეტში სააგიტაციო მასალების განთავსების ადგილი განისაზღვროს დანართის შესაბამისად. (დანართი №1 თან ერთვის)
2. განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული შენობა-ნაგებობის გარდა, სააგიტაციო მასალა შეიძლება გამოიფინოს შენობა-ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში.
3. განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი სააგიტაციო მასალების გამოკვრა და გამოფენა იმ ფორმით, რომ დაცული იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილებით.
4. განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტის მიერ გასაკრავი სააგიტაციო მასალის მაქსიმალური რაოდენობა დგინდება შესაბამისი ადგილის ფართობის გათვალისწინებით.
5. განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას სააგიტაციო მასალა შემდეგი ზომებით: სიგრძე არაუმეტეს 60 სმ, სიგანე არაუმეტეს 42 სმ (A2 ფორმატი).

6. განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულ ადგილზე საარჩევნო სუბიექტის მიერ გასაკრავი სააგიტაციო მასალის მაქსიმალური რაოდენობა ერთ საარჩევნო სუბიექტზე განისაზღვროს 10 ცალით.
7. სააგიტაციო მასალების განთავსება აკრძალულია: საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთების, პოლიციის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე განთავსება/გაკვრა.
8. დაუშვებელია და კანონით დადგენილი წესით ისჯება სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა, ჩამოხევა, დაფარვა ან დაზიანება, თუ ის აკრძალულ ადგილას არ არის განთავსებული.
9. განკარგულების გამოქვეყნება უზრუნველყოს საკრებულოსა და მერიის შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულებმა (საკრებულოს აპარატი, მერიის ადმინისტრაციული სამსახური).
10. ეს განკარგულება გადაეგზავნოს ცაგერის საოლქო საარჩევნო კომისიას.
11. ძალადაკარგულად გამოცხადდეს: ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 აგვისტოს №57 განკარგულება „2018 წლის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით ცაგერის მუნიციპალიტეტში სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის ადგილების გამოყოფის შესახებ“.
12. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.
13. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი გუგავა

საკრებულოს თავმჯდომარე  
ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე, იმ შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი, სადაც შეიძლება საარჩევნო-სააგიტაციო მასალების განთავსება

1. ქ.ცაგერის კულტურის სახლი - ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ №43
2. ქ. ცაგერის სპორტული დარბაზი - ქ. ცაგერი, თავისუფლების №4
3. ქ. ცაგერის უმწეოთა სასადილოს შენობა - ქ. ცაგერი, კოსტავას ქ. №4
4. ქ. ცაგერის სამხატვრო გალერეა - ქ. ცაგერი, აღმაშენებლის ქ. №32
5. ქ. ცაგერის ავტოსადგური - ქ. ცაგერი, აღმაშენებლის ქ. №37
6. ქ. ცაგერის ესთეტიკური აღზრდის ცენტრი - ქ.ცაგერი, აღმაშენებლის №71
7. ქ. ცაგერის №1 საბავშვო ბაგა-ბაღი - ქ. ცაგერი, კოსტავას ქ. №31
8. ქ. ცაგერის №2 საბავშვო ბაგა-ბაღი - ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №71
9. ქ. ცაგერის მუნიციპალიტეტში არსებული გარე განათების ბოძები და მგზავრთა მოსაცდელეები.
10. ქ. ცაგერის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალი დასახლებული პუნქტების ტერიტორიაზე მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები (კულტურის სახლები, ბიბლიოთეკები, კლუბები და სხვა).